სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ N30 დადგენილების საფუძველზე წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2023 წლის პერიოდის ანგარიშს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, ასევე კონტროლს უწევს მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებას (ინსპექტირების ჯგუფი).

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიის ზედამხედველობის სამსახურში 2023 წელს შემოსულია 1727 კორესპონდენცია (განცხადება, წერილი, მომართვა, ბრძანება და სხვა).

საქართველოს კანონი ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტეტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს შესაბამისად ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილია 1 შემოწმების აქტი, რომლის საფუძველზეც დაჯარიმებულია 1 იურიდიული პირი (შპს ,,ლურჯი ბაღი“ ; ჯარიმა 200 ლარი), ხოლო შედგენილია 3 მითითება, რის საფუძველზე დაჯარიმდა 2 მოქალაქე (ქეთევან მარკელია, გიორგი და იოსებ ფუტკარაძე (დაერიცხათ საურავი და ჯამში ჯარიმა შადგენა 8 000 ლარს) და ზაზა და დავიდ აშკაშიძეები (ჯარიმა 4 000 ლარი) და 1 იურიდიული პირი (შპს ,,სენაკი 2022“ (ჯარიმა 4 000 ლარი), საჯარიმო თანხამ შეადგინა 16 000 ლარი, ხოლო ერთ მიღებულ ბრძანებაზე მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება სასაფლაოს დემონტაჟი.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში შემოსულია 8 200 ლარის ოდენობით თანხა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებას კონტროლს უწევს ზედამხედველობის სამსახური, რამოდენიმე ობიექტზე გამოვლინდა სამშენებლო (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა (გეგმა-გრაფიკის დარღვევა, ვადის გადაცილება) დარღვევის ფაქტები, რის შესაბამისადაც კომპანიებს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები.

2023 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში იქნა მიღებული მშენებლობადასრულებული 24 ობიექტი (საცხოვრებელი სახლები და სხვა).